



USAID | **GEORGIA**
FROM THE AMERICAN PEOPLE



აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID)
მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია (IOM)

კონსულტაციისა და დასაქმების პროექტი (JCP)

სამუშაო ძალაზე დამსაქმებელთა მოთხოვნა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში

პილოტური კვლევის ანგარიში

თბილისი

2012

შინაარსი

შესავალი	3
1. შრომის ბაზრის კვლევის ინსტიტუციონალიზაცია საქართველოში – გამოწვევები და პერსპექტივები.....	6
2. კვლის კონკრეტული შედეგები	14
2.1. კვლის ობიექტის ძირითადი მახასიათებლები	14
2.2. მოთხოვნა აღამიანურ რესურსებზე	16
დანართები	27

შესავალი

უმუშევრობა თანამედროვე საქართველოს უმწვავესი გამოწვევაა. უმუშევრობის მაღალი დონე ნეგატიურად აისახება მოსახლეობის ცხოვრების ხარისხსა და შრომით ემიგრაციაზე. კვლევები ადასტურებს, რომ უმუშევრობის განმაპირობებელ მიზეზებს შორის ერთ-ერთი ძირითადია სტრუქტურული და ხარისხობრივი დისბალანსი სამუშაო ძალაზე მოთხოვნასა და მის მიწოდებას შორის. ეს პრობლემა მჭიდრო კავშირშია დასაქმებასთან, განათლების სისტემისა და ბიზნესის ეფექტიანობასთან, რაც, თავის მხრივ, მნიშვნელოვანწილად განაპირობებს ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ტემპებს.

ქვეყანაში უმუშევართა დასაქმების მხარდაჭერისათვის პროფესიული სწავლების პროექტები ხორციელდება როგორც სახელმწიფოს, ისე საერთაშორისო თუ არამთავრობო ორგანიზაციების მიერ. ამ პროექტების ეფექტიანობა დიდწილად დამოკიდებულია ინფორმაციაზე, თუ რა პროფესიის კადრებია დეფიციტური და რაზეა მოსალოდნელი მოთხოვნის გაზრდა.

საქართველოში სამუშაო ძალაზე დამსაქმებელთა მოთხოვნის, ასევე სამუშაო ძალის მიწოდების კვლევა სახელმწიფო სტრუქტურების მხრიდან, სამწუხაროდ, არ ხდება. შესაბამისად, არ არსებობს სისტემატიზებული ინფორმაცია, თუ რა პროფესიის კადრებზეა მოთხოვნა, რომელი სპეციალობის კადრებია დეფიციტური, რა ტენდენციებია მოსალოდნელი შრომის ბაზარზე და ა.შ. აღნიშნული ინფორმაციული ვაკუუმის შევსებას ცდილობენ სხვადასხვა საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციები (IOM, USAID, UNDP, GIZ, NRC და სხვ). ამ სფეროში განსაკუთრებით აქტიურია მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია (IOM), რომელმაც 2007-2012 წლებში სამუშაო ძალაზე მოთხოვნის შესასწავლად არაერთი კვლევა ჩაატარა. მაგრამ ასეთი კვლევების საჭიროება კვლავ დიდია, ვინაიდან შრომის ბაზარზე მოთხოვნა უაღრესად დინამიურია. უფრო მეტიც, მსგავსი კვლევების სისტემატურად ჩატარებისა და ერთიანი ინფორმაციული ბაზის შექმნის გარეშე, ძნელია სამუშაო ძალაზე მოთხოვნის პროგნოზირება.

IOM-ის მიერ გაანალიზებული იქნა საქართველოში შრომის ბაზრის კვლევების, კერძოდ, სამუშაო ძალაზე მოთხოვნისა და მიწოდების შესწავლის ინსტიტუციონალიზაციის შესაძლებლობები, ამ სფეროში არსებული გამოწვევები და პერსპექტივები. საქართველოს სამთავრობო სტრუქტურების (საქართველოს შრომის,

ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური) საქმიანობის პროფილისა და ფუნქციონალური ანალიზის საფუძველზე გაკეთდა შეფასება, რომ აღნიშნული სტრუქტურებიდან, განვითარების მოცემულ ეტაპზე, შრომის ბაზრის კვლევების თვალსაზრისით ყველაზე მეტი შესაძლებლობა და წინაპირობები უნდა გააჩნდეს საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურს. შესაბამისად, 2012 წლის თებერვალ-მაისში დაიგეგმა და განხორციელდა პილოტური კვლევა სამუშაო ძალაზე დამსაქმებელთა მოთხოვნის შესასწავლად. კვლევის პილოტური ხასიათი ეფუძნებოდა იმ სიახლეს, რომ სამუშაო ძალაზე მოთხოვნის შესასწავლად რესპონდენტთა შერჩევა, კვლევის სავსე სამუშაოები, შედეგების დამუშავება და მონაცემთა ბაზის აგრეგირება უნდა განხორციელდებინა საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურს. კვლევისათვის კითხვარის მომზადება, შედეგების დამუშავების მეთოდური უზრუნველყოფა, ინტერვიუერთა ტრენინგი, კვლევის შედეგების ანალიზი ამ ეტაპზე განხორციელდა IOM-მა.

პილოტური კვლევა განხორციელდა მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის ინიციატივით, USAID-ის „კონსულტაციისა და დასაქმების პროექტის“ ფარგლებში. კვლევა ჩატარდა საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ აჭარის არ-ში 2012 წლის აპრილ-მაისში. კვლევამ მოიცვა აჭარის არ-ის ყველა მუნიციპალიტეტი, ეკონომიკური საქმიანობის ყველა სფერო, სამეწარმეო და არასამეწარმეო სექტორი. სამუშაო ძალაზე მოთხოვნის შესწავლა მიმდინარეობდა სამეწარმეო და არასამეწარმეო სუბიექტების საქმიანობის შერჩევითი სტატისტიკური გამოკვლევის პარალელურად, რომელსაც ყოველკვარტალურად ატარებს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. სამუშაო ძალაზე მოთხოვნის გამოკვლევა განხორციელდა იმავე რესპონდენტებზე, რომლებიც შერჩეული იყო აღნიშნული სტატისტიკური გამოკვლევებისათვის. გამოკითხვა ჩატარდა სტატისტიკის ეროვნული სამსახურის თანამშრომლების (ინტერვიუერების) მიერ ინტერვიუ-ანკეტირების მეთოდით. სულ გამოიკითხა 734 დამსაქმებელი.

კვლევის ძირითად მიზანს წარმოადგენდა იმის შეფასება, თუ რამდენად შეძლებდა საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური მსგავსი ტიპის კვლევების ჩატარებას, როგორი იქნებოდა დამსაქმებელთა გამოხმაურება, რა სანდოობისა და

ხარისხის იქნებოდა კვლევის შედეგები, რა სირთულეებსა და გამოწვევებს შეიძლებოდა ჰქონოდა ადგილი და ა.შ. ამასთან, სამუშაო ძალზე მოთხოვნის შესახებ კვლევის შედეგად მიღებული კონკრეტული ინფორმაცია სასარგებლოა აჭარის არ-ის დასაქმების სააგენტოსა და ყველა იმ ორგანიზაციისათვის, ვინც გეგმავს და ახორციელებს აქტივობებს სამუშაო ძალის პროფესიული სწავლებისა და დასაქმების სფეროში.

წინამდებარე ანგარიშში ასახულია როგორც პილოტური კვლევის შედეგები, ისე არსებული გამოცდილება, რაც IOM-სა და სხვა ორგანიზაციებს დაუგროვდა საქართველოს შრომის ბაზრის კვლევებისა და ინფორმაციული სისტემების შექმნის სფეროში.

1. შრომის ბაზრის კვლევების ინსტიტუციონალიზაცია საქართველოში – გამოწვევები და პერსპექტივები

შრომის ბაზრის კვლევები სოციალური და ეკონომიკური პოლიტიკის კომპონენტად განიხილება. უმეტეს ქვეყნებში მას ახორციელებენ შესაბამისი სახელმწიფო უწყებები (შრომის სამინისტრო/დეპარტამენტი, დასაქმების სახელმწიფო სამსახური). ამოცანები, რომელთა გადაჭრისათვისაც საჭიროა შრომის ბაზრის კვლევები, შემდეგია:

- ✓ სამუშაო ძალაზე მოთხოვნისა და მიწოდების დაბალანსება;
- ✓ განათლებისა და პროფესიული სწავლების (მ.შ. ზრდასრულთა) ხარისხისა და ეფექტიანობის ამაღლება;
- ✓ დასაქმების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება/განხორციელება;
- ✓ სამუშაო ძალის ხარისხის გაუმჯობესება და მობილურობის მხარდაჭერა;
- ✓ უმუშევრობის შემცირება და სოციალური სტაბილურობის გაზრდა;
- ✓ დასაქმების ხელშეწყობა, მომუშავეთა შრომის მწარმოებლურობისა და ბიზნესის ეფექტიანობის გაზრდა.

შრომის ბაზრის კვლევები მრავალასპექტიანია. ყველაზე ხშირად გვხვდება კვლევები, რომელთა მიზანია:

- ✓ მოსახლეობის ეკონომიკური აქტიურობის, დასაქმებისა და უმუშევრობის შესწავლა;
- ✓ სამუშაო ძალის სტრუქტურისა და მახასიათებლების შესწავლა;
- ✓ სამუშაო ძალაზე მიმდინარე და პერსპექტიული მოთხოვნის კვლევა;
- ✓ სამუშაო ძალის მიწოდების შესწავლა;
- ✓ შრომის ბაზრის ინფრასტრუქტურის შესწავლა;
- ✓ სამუშაო ძალის მარკეტინგი;
- ✓ შრომითი მიგრაციის კვლევა;
- ✓ სამუშაო ძალის მობილურობის შესწავლა.

საქართველოში შრომის ბაზრის კვლევას დიდი ხნის ისტორია არა აქვს, ვინაიდან საბჭოთა პერიოდში უგულვებელყოფილი იყო თვით დეფინიციები „შრომის ბაზარი“

და „უმუშევრობა“. 1991 წელს მიღებული კანონით „დასაქმების შესახებ“ საქართველოს საკანონმდებლო სივრცეში გაჩნდა ეს დეფინიციები და საფუძველი ჩაეყარა სახელმწიფო პოლიტიკას დასაქმებისა და უმუშევართა სოციალური დაცვის სფეროში. მაგრამ სპეციალურ კვლევებს ამ სფეროში სახელმწიფო უწყებები 1996 წლამდე არ ახორციელებდნენ. 1996 წლის მე-3 კვარტლიდან სტატისტიკის სამსახურმა დაიწყო შინამეურნეობების შერჩევითი გამოკვლევა მთელი საქართველოს მასშტაბით. ამ კვლევების პროგრამის ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტი მოსახლეობის ეკონომიკური აქტიურობის, დასაქმების, უმუშევრობის, სამუშაო ძალის სტრუქტურის შესწავლა იყო. მსგავსი კვლევები დღემდე ტარდება კვარტალურად, თუმცა 2008 წლიდან კვლევის შედეგები ქვეყნდება არა ყოველკვარტალურად, არამედ წელიწადში ერთხელ (მომდევნო წლის 25 მაისისთვის). 1998 და 1999 წლებში სტატისტიკის სახელმწიფო სამსახურმა ჩაატარა დეტალური კვლევები სამუშაო ძალის მახასიათებლების, სტრუქტურისა და გამოყენების მდგომარეობის შესასწავლად, მაგრამ მომდევნო პერიოდში, უცხოური დაფინანსების შეწყვეტის შემდეგ, მსგავსი გამოკვლევები აღარ ჩატარებულა. შედარებით სისტემატურად ტარდება სამეწარმეო და არასამეწარმეო ორგანიზაციების კვარტალური და წლიური სტატისტიკური გამოკვლევები მომუშავეთა რაოდენობისა და ხელფასის შესასწავლად, თუმცა აქაც იკვეთება შესასწავლ საკითხთა სულ უფრო შემცირების ტენდენცია.

რაც შეეხება სამუშაო ძალაზე მიმდინარე და პერსპექტიული მოთხოვნის სისტემატურ შესწავლას, ასეთი კვლევები საქართველოს სახელმწიფო უწყებების მიერ საერთოდ არ ტარდება¹, არადა მსგავსი ტიპის ინფორმაცია აუცილებელია სამუშაო ძალის პროფესიული სწავლების დასაგეგმად, ზრდასრულთა პროფესიული გადამზადების პროგრამების განსახორციელებლად, რაც, როგორც უკვე აღინიშნა, დასაქმებისა და ბიზნესის ეფექტიანობის მნიშვნელოვანი წინაპირობაა. სწორედ ამ ვაკუუმის შევსების მცდელობა და მსგავსი ინფორმაციის საჭიროების გააზრების დადასტურებაა ის ფაქტი, რომ უკანასკნელ 8-10 წელიწადში საქართველოში სამუშაო ძალაზე მოთხოვნის შესასწავლად სპეციალურ კვლევებს ატარებენ სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციები (USAID, IOM, EU (ETF), GIZ, DRC, UNDP, ILO, WB, Care International და სხვ.), არასამთავრობო და კვლევითი

¹ თუ არ ჩავთვლით რამდენიმე კვლევას, რომელიც ჩატარდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შეთანხმებით, უცხოელი დონორების (UNDP, EU, SIDA) დაფინანსებით, პროფესიული განათლების ზოგიერთ პროფესიებზე მოთხოვნის, ასევე პროფესიული სტანდარტებისა და სასწავლო გეგმების დამსაქმებელთა მოთხოვნებთან შესაბამისობის შესასწავლად.

დაწესებულებები (BAC GATEWAY, Goal Oriented Research, საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი (CSRDG), კავკასიის ეკონომიკური და სოციალური კვლევითი ინსტიტუტი (CIESR), ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიგრაციის კვლევის ცენტრი, IPM, კავკასიის კვლევითი რესურს ცენტრი (CRRC), საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია და სხვ).

აღნიშნული ორგანიზაციებიდან ყველაზე მეტი აქტიურობით გამოირჩევა IOM, რომელმაც სხვადასხვა პროექტის ფარგლებში 2007-2012 წლებში 9 სპეციალური გამოკვლევა განახორციელა². ეს კვლევებია:

1. *სამუშაო ძალაზე დამსაქმებელთა მოთხოვნა* (კვლევა განხორციელდა USAID საქართველოს მისიის დაფინანსებით).

არეალი: საქართველო;

პერიოდი: ივლისი-სექტემბერი, 2007

სფეროები: დამამუშავებელი მრეწველობა, მშენებლობა, ტურიზმი, სასტუმროები, რესტორნები, ნავსადგურები და ტვირთის დამამუშავება-გადაზიდვა.

2. *სამუშაო ძალაზე დამსაქმებელთა მოთხოვნა* (კვლევა განხორციელდა ჩეხეთის მთავრობის საერთაშორისო დახმარების პროგრამით „თანამშრომლობა განვითარებისათვის“ დაფინანსებული პროექტის „დასაქმებაზე კონსულტაციისა და მიმართვის ცენტრის დაფუძნება“ ფარგლებში)

არეალი: ქ. თბილისი.

პერიოდი: თებერვალი-ივნისი, 2008

სფეროები: ტრანსპორტი, კავშირგაბმულობა, ჯანდაცვა, საბანკო და სადაზღვევო სექტორები.

3. *აჭარის რეგიონული შრომის ბაზარი* (კვლევა განხორციელდა ჩეხეთის მთავრობის საერთაშორისო დახმარების პროგრამით „თანამშრომლობა განვითარებისათვის“ დაფინანსებული პროექტის „დასაქმებაზე კონსულტაციისა და მიმართვის ცენტრის დაფუძნება“ ფარგლებში)

არეალი: აჭარის ა/რ,

პერიოდი: ოქტომბერი-დეკემბერი, 2008

სფეროები: ეკონომიკის ყველა სფერო.

4. *ბიზნეს-გარემოსა და შრომის ბაზრის კვლევა შიდა ქართლში* (კვლევა განხორციელდა GTZ-ის დაფინანსებით).

² კვლევების ანგარიშები შეგიძლიათ იხილოთ ვებ-გვერდზე: www.jcp.ge

არეალი: შიდა ქართლი.

პერიოდი: თებერვალი-მაისი, 2010

სფეროები: ეკონომიკის ყველა სფერო.

5. *სამცხე-ჯავახეთის რეგიონული შრომის ბაზარი* (კვლევა განხორციელდა ჩეხეთის მთავრობის საქრთაშორისო დახმარების პროგრამით „თანამშრომლობა განვითარებისათვის“ დაფინანსებული პროექტის „დასაქმებაზე კონსულტაციისა და მიმართვის ცენტრის დაფუძნება“ ფარგლებში)

არეალი: სამცხე-ჯავახეთი.

პერიოდი: აპრილი-ივნისი, 2010

სფეროები: ეკონომიკის ყველა სფერო.

6. *საქართველოს ეროვნული შრომის ბაზარი* (კვლევა განხორციელდა USAID-ის საქართველოს მისიის მიერ დაფინანსებული „სამუშაოს მაძიებელთა კონსულტირებისა და დასაქმების“ პროექტის ფარგლებში).

არეალი: საქართველო

პერიოდი: მარტი-სექტემბერი, 2010

სფეროები: ეკონომიკის ყველა სფერო.

7. *სამუშაო ძალის მიწოდება საქართველოს შრომის ბაზარზე* (კვლევა განხორციელდა USAID-ის მ საქართველოს მისიის იერ დაფინანსებული „სამუშაოს მაძიებელთა კონსულტირებისა და დასაქმების“ პროექტის ფარგლებში).

არეალი: საქართველოს მასშტაბით.

პერიოდი: მაისი-სექტემბერი, 2011

სფეროები: უმაღლესი და საჯარო პროფესიული სასწავლებლები.

8. *სამუშაო ძალაზე დამსაქმებელთა მოთხოვნა* (კვლევა განხორციელდა ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის „სამშობლოში დაბრუნებული მიგრანტების რეინტეგრაციის ხელშეწყობა და ევროკავშირსა და საქართველოს შორის რეადმისიის ხელშეკრულების განხორციელება“ ფარგლებში).

არეალი: საქართველოს ოთხი რეგიონი (ქ. თბილისი და მცხეთა-მთიანეთის მიმდებარე ტერიტორია; ქ. რუსთავი და ქვემო ქართლის მიმდებარე ტერიტორია; ქ. ქუთაისი და იმერეთის მიმდებარე ტერიტორია; ქ. ზუგდიდი და სამეგრელოს მიმდებარე ტერიტორია).

პერიოდი: ივნისი-დეკემბერი, 2011

სფეროები: ეკონომიკის ყველა სფერო.

9. *სამუშაო ძალაზე დამსაქმებელთა მოთხოვნა აჭარის არ-ში – პილოტური კვლევა საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მეშვეობით* (კვლევა განხორციელდა USAID-ის საქართველოს მისიის მიერ დაფინანსებული „სამუშაოს მაძიებელთა კონსულტირებისა და დასაქმების“ პროექტის ფარგლებში).

არეალი: აჭარის არ

პერიოდი: მარტი-მაისი, 2012

სფეროები: ეკონომიკის ყველა სფერო.

ჩატარებული კვლევების შედეგები მნიშვნელოვნად წაადგა იმ პროექტების წარმატებით განხორციელებას, რომელთა ფარგლებშიც აღნიშნული კვლევები განხორციელდა. გარდა ამისა, კვლევის შედეგების აქტიური მომხმარებლები იყვნენ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, საგანმანათლებლო დაწესებულებები, საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციები, ასევე სხვა დაინტერესებული ორგანიზაციები და პირები, რომლებსაც ბეჭდური და ელექტრონული ვერსიების სახით ოპერატიულად მიეწოდებოდათ აღნიშნული კვლევების შედეგები. გარდა ამისა, კვლევის ანგარიშების განთავსება ოპერატიულად ხდებოდა მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის, ასევე კონსულტაციისა და დასაქმების პროექტების ვებ-გვერდებზე: www.iom.ge, www.jcrc.ge, www.jcp.ge.

სამუშაო ძალაზე მოთხოვნის კვლევების დამკვეთების, ჩამტარებლებისა და კვლევების შედეგების მომხმარებელთა დიდი რაოდენობა კიდევ ერთხელ ადასტურებს ასეთი ინფორმაციის მნიშვნელობასა და საჭიროებას. ამასთან, ინფორმაციის სანდოობის ამაღლება და პროგნოზირებისათვის მისი გამოყენების შესაძლებლობა მოითხოვს, რომ ასეთი ტიპის კვლევები მთელი ქვეყნის მასშტაბით სისტემატურად ტარდებოდეს.

როგორც ცნობილია, დასავლეთის ქვეყნების დიდი ნაწილი შრომის ბაზრის (მათ შორის, სამუშაო ძალაზე მოთხოვნისა და მიწოდების) კვლევებს ახორციელებენ შრომის სფეროში მოღვაწე სახელმწიფო უწყებები (შრომის სამინისტრო, დასაქმების სახელმწიფო სამსახური და სხვ.).

საქართველოში, ამჟამად, შრომის სფეროში სისტემატურ კვლევებს მხოლოდ სტატისტიკის ეროვნული სამსახური ახორციელებს. კერძოდ, მოსახლეობის ეკონომიკური აქტიურობის, დასაქმებისა და უმუშევრობის შეფასებისათვის კვარტალურად ტარდება შინამეურნეობების გამოკვლევები, ასევე შრომის საკითხების შესწავლა ხდება სამეწარმეო და არასამეწარმეო სუბიექტების სტატისტიკური გამოკვლევებისას. მართალია, სამუშაო ძალაზე მოთხოვნის შესწავლა ამ უწყებას ჯერ არ განუხორციელებია, მაგრამ სხვა სახელმწიფო

უწყებებთან შედარებით, მსგავსი კვლევების ჩატარების მეტი წინაპირობები და რესურსები სწორედ მას გააჩნია. კერძოდ, სტატისტიკის ეროვნული სამსახურს ქვეყნის მასშტაბით ტერიტორიული ორგანოები გააჩნია, ჰყავს გამოცდილ ინტერვიუერთა ქსელი და აქვს სპეციალური კვლევების ჩატარების დიდი გამოცდილება, აღნიშნულიდან გამომდინარე, მოცემულ ეტაპზე, ყველაზე რეალურ და ხელმისაწვდომ ვერსიად იქნა მიჩნეული სამუშაო ძალაზე მოთხოვნის შესასწავლად კვლევების ინსტიტუციონალიზაცია განხორციელოს საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა.

ამ შეხედულების დასადასტურებლად, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ, USAID-ის მიერ დაფინანსებული პროექტის „სამუშაოს მაძიებელთა კონსულტირება და დასაქმება“ ფარგლებში, დაიგეგმა და საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ განხორციელდა პილოტური კვლევა აჭარის არ-ში.

პილოტურმა კვლევამ გვიჩვენა, რომ საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურს აქვს შესაძლებლობა:

- ✓ ჩამოაყალიბოს სამუშაო ძალაზე მოთხოვნის შესწავლის სისტემა, თუკი იქნება შესაბამისი სახელმწიფო სტრუქტურების (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო და სხვ.) ინტერესი, სათანადო მეთოდური მასალა და ტექნიკური მხარდაჭერა;
- ✓ ფლობს სათანადო ინფორმაციას პოტენციური რესპონდენტების შესახებ;
- ✓ ჰყავს ინტერვიუერთა ქსელი მთელი ქვეყნის მასშტაბით;
- ✓ აქვს შესაძლებლობა ოპერატიულად დაამუშაოს კვლევის შედეგები და შექმნას მონაცემთა ერთიანი ბაზა;
- ✓ შეუძლია ოპერატიულად უზრუნველყოს მომხმარებლისათვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობა.

ყოველივე ეს ქმნის წინაპირობებს ქვეყნის მასშტაბით კვლევების სისტემატურად, ხარისხიანად და ნაკლები დანახარჯებით ჩასატარებლად.

ამასთან, კვლევის პროცესში და შედეგების დამუშავებისას დაფიქსირდა გარკვეული გამოწვევები. კერძოდ:

- დამსაქმებლების მხრიდან კვლევის აქტუალობის არასათანადოდ გააზრება;
- რესპონდენტების ნაწილის მიერ გამოთქმული უარი კვლევაში მონაწილეობაზე (საქართველოში სტატისტიკურ გამოკვლევებში რესპონდენტების მონაწილეობა ნებაყოფლობითია);
- რესპონდენტების მხრიდან მეტისმეტი სიფრთხილე და თავშეკავება თუნდაც არაკომერციული ხასიათის ინფორმაციის გაცემისას;
- ინტერვიუს ხარისხიანად ჩატარებისათვის ინტერვიუერთა სპეციალური მომზადების (სპეციალური ტრენინგების) საჭიროება;
- რიგ შემთხვევებში, რესპონდენტებთან უშუალო კონტაქტის შესაძლებლობის არარსებობა (საწარმოთა ხელმძღვანელები უარს ამბობდნენ ინტერვიუზე და ინტერვიუერს ამისამართებდნენ სხვა, საკვლევ საკითხებში ნაკლებად კომპეტენტურ თანამშრომლებთან);
- დროის მოკლე პერიოდში რამდენიმე კვლევის ერთდროულად განხორციელების სირთულე ;
- კვლევის შედეგების დამუშავებისათვის ერთიანი სტანდარტიზირებული სისტემის არარსებობა (ვინაიდან ასეთი ტიპის კვლევები სტატისტიკის ეროვნულ სამსახურს აქამდე არ ჩაუტარებია, მათ არ აქვთ პროფესიებისა და სპეციალობების კოდირების სათანადო სისტემა, კერძოდ, პროფესიებისა და სპეციალობების დეტალიზებული სტანდარტული კლასიფიკატორი. ISCO-88–ს არსებული სისტემა კვლევის შედეგების კოდირებისათვის არასაკმარისია და საჭიროა მისი დეტალიზაცია, ასევე ეროვნული სპეციფიკის გათვალისწინება).

გამოიკვეთა ის ღონისძიებებიც, რომელთა რეალიზაციის გარეშე საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური ვერ შეძლებს სამუშაო ძალაზე მოთხოვნის კვლევების მწყობრი სისტემის ჩამოყალიბებას. კერძოდ:

- ✓ შესამუშავებელია დასაქმების ეროვნული სტანდარტული კლასიფიკატორი (ISCO-88-ის ბაზაზე) და განსავითარებელია პროფესიებისა და სპეციალობების კოდირების მეთოდოლოგია;
- ✓ შესამუშავებელია მონაცემთა ერთიანი ბაზის პარამეტრები და გასაკეთებელია მისი პროგრამული უზრუნველყოფა;

- ✓ უნდა განისაზღვროს კვლევების ჩატარების ოპტიმალური პერიოდულობა და რესპონდენტთა შერჩევის მოდელი;
- ✓ უნდა მომზადდეს ტრენინგის მოდულები ინტერვიუერებისთვის;
- ✓ შესამუშავებელია დამსაქმებელთა ინფორმირებულობისა და პასუხისმგებლობის გაზრდის მეთოდები და ფორმები;
- ✓ უნდა განისაზღვროს კვლევის შედეგების დამუშავების, ანალიზისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის ეფექტური მოდელი.

აღნიშნული მიმართულებებით სამუშაოთა ორგანიზების საკმაოდ დიდი გამოცდილება დაუგროვდა IOM-ს. საქართველოს ხელისუფლების მხრიდან სათანადო ინტერესისა და ფინანსური მხარდაჭერის შემთხვევაში, რეალურია საქართველოში შრომის ბაზრის კვლევების, კერძოდ, სამუშაო ძალაზე მოთხოვნისა და მისი მიწოდების, სამუშაო ძალის სტრუქტურის, მობილურობის, გამოყენების კონკრეტული საკითხების შესწავლის ინსტიტუციონალიზაცია და საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ კვლევების ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბება. აღნიშნული კვლევების სისტემატიზაცია და რეპრეზენტატული მონაცემების ერთიანი ბაზის შექმნა მნიშვნელოვნად წაადგება ქვეყანაში განათლების, დასაქმების, მიგრაციის სფეროებში ეფექტიანი პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებას.

2. კვლევის კონკრეტული შედეგები


2.1. კვლევის ობიექტების ძირითადი მახასიათებლები

კვლევის ობიექტების შერჩევა მოახდინა საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა: შეირჩა აჭარის არ-ში მოქმედი ყველა მსხვილი საწარმო და ორგანიზაცია; საშუალო და მცირე სიდიდის საწარმოების ამორჩევისას ძირითადი კრიტერიუმი იყო საქმიანობის სფერო იმ თვალსაზრისით, რომ კვლევაში მოხვედრილიყო ეკონომიკური საქმიანობის ყველა სახეობის საწარმო/დაწესებულება რეპრეზენტატიული რაოდენობით; მცირე საწარმოების შერჩევისას დამატებითი კრიტერიუმი იყო მომუშავეთა რაოდენობა, კერძოდ, შეირჩა საწარმოები, სადაც მომუშავეთა რაოდენობა იყო სამ კაცზე მეტი. სულ შეირჩა და გამოიკითხა 734 საწარმოს/დაწესებულების ხელმძღვანელი პირი (უშუალოდ ხელმძღვანელი ან მაღალი დონის მენეჯერი, რომელიც კარგად ერკვეოდა შესასწავლ საკითხებში).

გამოკვლეული 734 საწარმოდან 406 (გამოკვლეულ საწარმოთა 55,3%) მცირე ზომისაა (21 კაცზე ნაკლები მომუშავეთ), 290 (39,5%) – საშუალო სიდიდის (21-დან 100 კაცამდე მომუშავეთ) და 38 (5,2%) – მსხვილი (100 კაცზე მეტი მომუშავეთ). რესპონდენტების 62% სამეწარმეო სუბიექტია, ხოლო 38% – არასამეწარმეო; გამოკვლეული საწარმოებიდან 61,6% – არასახელმწიფო საკუთრების, ხოლო 38,4% – სახელმწიფო საკუთრებისაა (მათგან ძირითადია საგანმანათლებლო და ჯანდაცვის დაწესებულებები).

გამოკვლეული საწარმოების ტერიტორიული განაწილება შემდეგია: ქ. ბათუმზე მოდის გამოკვლეული საწარმოების 55%, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტზე – 13%, ქობულეთის მუნიციპალიტეტზე – 12%, შუახევის მუნიციპალიტეტზე – 8%, ქედის მუნიციპალიტეტზე – 6% და ხულოს მუნიციპალიტეტზე – 6% (იხ. დიაგრამა 1).

დიაგრამა 1



კვლევამ მოიცვა ეკონომიკური საქმიანობის ყველა სფეროში მოქმედი საწარმოები და დაწესებულებები (იხ. ცხრილი 2.1). აჭარის არ-ის ეკონომიკის სტრუქტურის სპეციფიკიდან გამომდინარეა ის ფაქტი, რომ გამოკვლეულ საწარმოებში ჭარბობენ განათლების, ვაჭრობის, დამამუშავებელი მრეწველობისა და მშენებლობის სფეროში მოღვაწე სუბიექტები. მნიშვნელოვანი წილით არიან ასევე წარმოდგენილი სახელმწიფო მართვის, სოციალური და პერსონალური მომსახურების, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის ორგანიზაციები.

ცხრილი 2.1. გამოკვლეული საწარმოების ბანაწილება ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით

ეკონომიკური საქმიანობის სახეები	რაოდენობა, საწარმო	%
სოფლის მეურნეობა. ნადირობა და სატყეო მეურნეობა, თევზჭერა	7	1,0
სამთომოპოვებითი მრეწველობა	7	1,0
დამამუშავებელი მრეწველობა	83	11,3
ელექტრო ენერჯის, აირის და წყალმარაგება	4	0,5
მშენებლობა	77	10,5
ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	23	3,1
ვაჭრობა	129	17,6

სასტუმროებისა და რესტორნების მომსახურება	38	5,2
ტურისტული სააგენტოები	6	0,8
კვლევები და დამუშავებები	1	0,1
კომპიუტერებთან დაკავშირებული საქმიანობა	4	0,5
განათლება	220	30,0
ჯანდაცვა	10	1,4
ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა	15	2,0
საფინანსო შუამავლობა	3	0,4
სახელმწიფო მმართველობა	40	5,4
სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევა	37	5,0
მომხმარებელზე გაწეული მომსახურების სხვა სახეები	19	2,6
უცნობია	11	1,5
სულ	734	100


გამოკვლევულ საწარმოთა რაოდენობა და მათი განაწილება მომუშავეთა რაოდენობის, საკუთრების ფორმის, ეკონომიკური საქმიანობის სახეობების მიხედვით იძლევა იმის საფუძველს, რომ კვლევის შედეგები რეპრეზენტატულად იქნეს მიჩნეული და კვლევის შედეგებზე დაყრდნობით შეფასდეს აჭარის არ-ში სამუშაო ძალაზე მოთხოვნის ძირითადი პარამეტრები.

2.2. მოთხოვნა ადამიანურ რესურსებზე

კვლევის შედეგებით, აჭარის არ-ში ფუნქციონირებადი საწარმოებიდან 1/3-მა (33%) საქმიანობის ბოლო 1 წლის განმავლობაში გაზარდა მომუშავეთა რიცხოვნობა (იხ. დიაგრამა 2). მათგან უმეტესობაში (გამოკვლევულთა 23%) ზრდა შეადგენდა 1-5 კაცს. გამოკვლევული საწარმოების 6%-ში მომუშავეთა რაოდენობა 6-დან 20 კაცამდე გაიზარდა, 2,3%-ში – 21-დან 50 კაცამდე, ხოლო 1,4%-ში – 50 კაცზე მეტით. ამის პარალელურად, გამოკვლევული ორგანიზაციების 20,2%-მა ბოლო 1 წლის განმავლობაში მომუშავეთა რაოდენობა შეამცირა, 48%-ში კი უცვლელი დარჩა. ანუ, კვლევის შედეგებით, მთლიანობაში, *აჭარის არ-ში სამეწარმეო და არასამეწარმეო სფეროში დასაქმებულთა რაოდენობა ბოლო 1 წლის განმავლობაში გარკვეულწილად გაიზარდა.* ეს დასტურდება საქართველოს შინამეურნეობების კვლევის მონაცემებითაც, რომელთა თანახმადაც, აჭარის არ-ში 2011 წელს წინა

წელთან შედარებით, დაქირავებით დასაქმებულთა რაოდენობა 2 ათასი კაცით გაიზარდა.³

დიაგრამა 2



საგულისხმოა, რომ ბოლო ერთი წლის განავლობაში მომუშავეთა რაოდენობა სამეწარმეო სექტორის საწარმოთა უმეტესობაში გაიზარდა, რაც უდაოდ დადებითი ტენდენციაა, თუმცა ამ სექტორშიც დიდია ისეთ საწარმოთა რაოდენობა, სადაც მომუშავეთა რიცხოვნობა არ შეცვლილა (იხ. ცხრილი 2.2).

ცხრილი 2.2. მომუშავეთა რაოდენობის ცვლილება ბოლო 1 წლის განმავლობაში სამეწარმეო და არასამეწარმეო სექტორებში, კვლევის შედეგებით

	სამეწარმეო სექტორი		არასამეწარმეო სექტორი	
	საწარმოთა რაოდენობა	%	საწარმოთა რაოდენობა	%
გაიზარდა 1-5 კაცით	115	25,4	53	18,9
გაიზარდა 6-20 კაცით	38	8,4	9	3,2
გაიზარდა 21-50 კაცით	12	2,6	5	1,8
გაიზარდა 50 კაცზე მეტით	9	2,0	1	0,4
არ შეცვლილა	211	46,6	133	47,3
შემცირდა 1-5 კაცით	40	8,8	67	23,8
შემცირდა 6-20 კაცით	14	3,1	10	3,6
შემცირდა 21-50 კაცით	5	1,1	2	0,7

³წყარო: http://geostat.ge/?action=page&p_id=145&lang=geo

შემცირდა 50 კაცზე მეტით	9	2,0	1	0,4
სულ	453	100,0	281	100,0


მომუშავეთა რაოდენობის მატება ყველაზე მეტად დაფიქსირდა ეკონომიკური საქმიანობის შემდეგ სფეროებში: მშენებლობა, დამამუშავებელი მრეწველობა, ვაჭრობა, სოციალური და პერსონალური მომსახურება, სასტუმროები და რესტორნები, ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა; მომუშავეთა რაოდენობის კლების ტენდენცია კი უფრო მკვეთრად განათლებისა და ჯანდაცვის სფეროში იყო გამოკვეთილი.

კადრების მოზიდვისათვის დამსაქმებლები ერთდროულად სხვადასხვა გზებსა და საშუალებებს იყენებენ. ისევე, როგორც წინა კვლევებში, ამ კვლევის შედეგებითაც დომინანტია საჭირო კადრების მოძიება და მოზიდვა პირადი კონტაქტებითა (გამოკითხულ დამსაქმებელთა 61%) და საკუთარი თანამშრომლების დახმარებით (38%), რაც აიხსნება, ერთის მხრივ, შრომის ბაზრის ინფრასტრუქტურის განუვითარებლობით და, მეორეს მხრივ, იმ გარემოებით, რომ საქართველოში პირადი ნაცნობობითა და კონტაქტებით კადრების მოძიება ხშირ შემთხვევაში ზეპირი რეკომენდაციის შინაარსის მატარებელია, თუმცა არც ნეპოტიზმის შემთხვევებია გამორიცხული.

როგორც ცნობილია, 2011 წლის ნოემბრიდან აჭარის არ-ში IOM-ის „კონსულტაციისა და დასაქმების“ ქ. ბათუმის ცენტრის ბაზაზე შეიქმნა სსიპ „დასაქმების სააგენტო“, რომელიც უფასო საშუაშაველო სერვისს სთავაზობს სამუშაოს მაძიებლებსა და დამსაქმებლებს. განვლილ მოკლე პერიოდში (2011 დეკემბერიდან კვლევის პერიოდამდე) ამ სააგენტომ შეძლო ის, რომ გამოკითხული დამსაქმებლების 8%-მა კადრების მოზიდვის გზად დასაქმების სახელმწიფო სააგენტო დაასახელა.

დამსაქმებლების 14% საჭირო კადრების მოსაზიდად სასწავლო დაწესებულებებთან პირდაპირ კონტაქტს იყენებს, 11 % – მასმედიის საშუალებით ავრცელებს განცხადებებს, 2% კი დასაქმების კერძო სააგენტოების მომსახურებით სარგებლობს (იხ. დიაგრამა 3). იმის გამო, რომ კერძო სააგენტოების მომსახურება ფასიანია, დამსაქმებლები მათი სერვისით მხოლოდ მაღალკვალიფიციური და დეფიციტური სპეციალობის კადრების მოსაზიდად სარგებლობენ.


დიაგრამა 3



კვლევის შედეგებით, გამოკითხული დამსაქმებლების 46%-ს გარკვეული პრობლემები აქვთ მათთვის საჭირო პროფესიისა და კვალიფიკაციის კადრების მოზიდვისას. აქედან 37% აღნიშნავს, რომ მსგავსი პრობლემები იშვიათად, 6%-ს – ხშირად, 3%-ს კი სისტემატურად აქვთ (იხ. დიაგრამა 4). ხაზგასასმელია ის გარემოებაც, რომ კადრების მოზიდვის სფეროში პრობლემების არსებობას ძირითადად უჩივიან მსხვილი და საშუალო სიდიდის საწარმოები და ეს გასაგებიცაა, ვინაიდან კადრებზე მათი მოთხოვნა უფრო მეტი და მრავალფეროვანია, ვიდრე მცირე ზომის საწარმოებსა და დაწესებულებებში, თუმცა კადრების მოძიების პრობლემები მცირე ზომის საწარმოებსაც აწუხებთ.


მიზეზები, რომელთა გამოც დამსაქმებლებს ვერ მოუძებნიათ საჭირო კადრები, სხვადასხვაა, თუმცა დომინანტია მომზადებული კადრების დაბალი კვალიფიკაცია და საშუალო ძალაზე მოთხოვნა-მიწოდებას შორის არსებული დისბალანსი.

დიაგრამა 4



კერძოდ, დამსაქმებლებიდან, ვინც აღიარებს საჭირო კადრების მოზიდვისას პრობლემების არსებობას, 27% აღნიშნავს, რომ ამის მთავარი მიზეზია კანდიდატებისათვის შესაბამისი პრაქტიკული უნარ-ჩვევების არქონა, 15% კი თეორიული ცოდნის უკმარისობას უჩივის; ყოველი მე-5 დამსაქმებელი საჭირო კადრების მოუძიებლობის მთავარ მიზეზად ასახელებს იმ ფაქტს, რომ მისთვის საჭირო პროფესიისა და სპეციალობის კადრები ქვეყანასა თუ რეგიონში არ მზადდება (იხ. დიაგრამა 5).

დიაგრამა 5



საგულისხმოა, რომ დამსაქმებელთა 18% საჭირო კადრების მოუძიებლობის მთავარ მიზეზად ასახელებს გარემოებას, რომ კანდიდატები არ არიან თანახმა, იმუშაონ მის მიერ შეთავაზებულ პირობებზე (ხელფასი, მუშაობის რეჟიმი და სხვ.). მართალია, ამ პირობებს უმეტეს შემთხვევაში (ცალკეული სახელმწიფო დაწესებულებების გარდა) ადგენს დამსაქმებელი და გარკვეულწილად გაუგებარია, თუ ასეთ სიტუაციაში თვითონ დამსაქმებელი რატომ არ ცვლის შეთავაზებულ პირობებს. ჩადრმავებული ინტერვიუს საფუძველზე გამოიკვეთა ამის რამდენიმე მიზეზი: ა) დამსაქმებელთა ნაწილს მიაჩნია, რომ ისინი სთავაზობენ რეალურ პირობებს და თვითონ კანდიდატებს აქვთ გაზრდილი მოთხოვნები; ბ) მათი ბიზნესი დაბალრენტაბელურია, მაღალია გადასახადები და არ შეუძლიათ მეტის შეთავაზება; გ) მაღალი უმუშევრობის პირობებში მაინც იპოვიან კანდიდატს, რომელიც დათანხმდება შეთავაზებული პირობებით მუშაობას. დამსაქმებელთა ნაწილმა (1%) აღნიშნა, რომ საჭირო კადრების მოუძიებლობის მიზეზია საზოგადოებაში არსებული სტიგმა გარკვეული სამუშაოების მიმართ. ეს მიზეზი ყველაზე ხშირად მომსახურების სფეროს დამსაქმებლებმა დაასახელეს.

გამოკითხვის შედეგებით, აჭარაში ყველაზე პრობლემატურია უმაღლესი დონის კვალიფიკაციის სპეციალისტების მოზიდვა. პრობლემატურია ასევე ტექნიკური დანადგარების ოპერატორების, ამწყობებისა და ტექნიკოსების, სხვადასხვა პროფესიის ხელოსნების მოზიდვაც.

